№ 6 იანვარი 10, შაბათი 1887 იანვარი 10, შაბათი 6

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ გვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდყელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

ქართული თეატრი

კვირას, 11 იანვარს,

ბ-ნ კ. მესხის ბენეფისი,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ჰაი ჭკუისაგან

კომედია 4 მოქმედებად გრიბოედოვისა.

მოთამაშენნი: ქქ. საფ.-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა, მელიქოვისა; ბბ. კ. მესხი, აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 9 იანვარი

რა თქმა უნდა, რომ, თუ რუსეთს ჰსურს თავისი საკუთარი ბამბა იქონიოს და ამ მხრით სხვა ქვეყნებზედ არ იყოს დამოკიდებული, ბამბის მოყვანას ძალიან ხელი უნდა შეუწყოს ყველგან, საცა კი ჰავა და ადგილი შესაფერია ამ მცენარისა. შიდა-აზიის გარდა, ბამბა ძალიან კარგად მოდის ამიერ-კავკასიაში. ქართლ-კახეთი და ერთობ იმერეთი ამისათვის ძალიან კარგი ადგილებია და ამ მხარეში რომ მთავრობამ თვისი შემწეობა მოაშველოს მიწის მომქმედთა და პირველ ხანებში მაინც ყოველისფერში ხელი გაუმართოს, ყოველ გვარი შეღავათი მისცეს, დიდ-ძალს ბამბას რუსეთი ჯერ ამ ამიერ-კავკასიაში იშოვის. სწორედ ესე მოიქცნენ ინგლისელები. როცა ჩრდილო-ამერიკის შტატებ-შორის ომი ასტყდა და ბამბის კრიზისმა თავი იჩინა, ინგლისელებმა არავითარი ღონე, არავითარი ხარჯი, არავითარი შემწეობა არ დაჰზოგეს, რომ სადმე თავის სახელმწიფოს სამზღვრებში ბამბის მოყვანა აღორძინონ და ფეხზედ დააყენონ. ინდოეთ'ჰა და ეგვიპტეშიაც კი, რომელიც ინგლისელებს არც კი ეკუთვნით, დიდ-ძალი მეცადინეობა იხმარეს, დიდ ძალი ფული დაატრიალეს ამის გულისათვის. გარდა ამისა თვით ინგლისის ფულის პატრონთაც, როგორც კერძო კაცთა, დიდ-ძალი ფული შიაშველეს ბრაზილიას და ხვნა-თესვა ბამბისა დიდად გააძლიერეს იქაც-კი. ამ მთავრობისა და კერძო კაცთა ცდამ და ხარჯმა ამაოდ არ ჩაუარათ ინგლისელებსა. ამ მეცადინეობის და ხარჯის შედეგი ის იყო, რომ 1,800,000 ფუთი ბამბა, რომელიც 1862—63 წწ. გამოჰქონდათ, მაგალითებრ, ეგვიპტიდამ, ცხრა მილლიონ ფუთამდე აიყვანეს 1884—85 წლებში. ეს იმოდენა ბამბაა, რამოდენიც რუსეთის მრეწველობას და ერთობ რუსეთის ბაზარსა თითქმის სრულებითა ჰყოფნის. დღეს ინგლისი ცოტად თუ ბევრად დაიმედებულია, რომ რაც უნდა უეცარი უბედურება შეემთხვას ჩრდილო-ამერიკის ბამბასა, ინგლისი ცოტად თუ ბევრად დაიმედებული იქმნება, რომ ფაბრიკები და ქარხნები არ მოუცდება.

ინგლისელების მიხედვით, თუ საკუთარის მიგნებით, რუსეთშიაც ფულის-პატრონებმა კერძო-კაცებმა ხელი მოჰკიდეს ამ საქმესა და განიზრახეს რითმე მოჰშველებოდნენ იმ ქვეყნებს, საცა ბამბა მოდის. ამას წინად სოვდაგრმა მაროზოვმა ჩვენს სოფლის სამეურნეო საზოგადოებას ბამბის თესლი გამოუგზავნა, რომ ხალხს დაურიგდეს და ხალისი აღუძრას ბამბის მოყვანისა. საზოგადოებამ დაურიგა იგი თესლი, მაგრამ, სამწუხაროდ, თესლი იმოდენად უხეირო გამოდგა, რომ მოსცდა და არ ამოვიდა. თვით მთავრობასაც ორი ნასწავლი კაცი გაუგზავნია ამერიკაში, რომ ისწავლონ ბამბის მოყვანის ხელი და მერე რუსეთის სამზღვრებში მოჰფინონ თავისი სწავლა და ცოდნა და ამ მხრით შემწეობა აღმოუჩინონ მიწათ-მომქმედთა. რასაკვირველია, ეს ღონისძიებანი საკმაონი არ არიან, რომ ხალხმა ხელი მოჰკიდოს ბამბის მოყვანის საქმესა, თუმცა არც უიმისოა, რომ ცოტაოდნად მაინც ხელი არ მოუმართოს. ჩვენში ბამბის მოყვანის საქმის ცოდნა, მართალია, იმოდენი არ არის, რამოდენიც სანატრელია, მაგრამ იმოდენა კია, რომ კაცი ცოტად თუ ბევრად ამ მხრით დიდს დაბრკოლებას ვერა ჰნახავ'ს. ხომ იყო ჩვენში ცოტად თუ ბევრად გაძლიერებული ბამბის მოყვანის საქმე 1862—63—64 და სხვა წლებში, მინამ ბამბა კაი ფასად გადიოდა და ხალხს ხელს აძლევდა. საქმე ის არის,—ხალხმა გული დააჯეროს, რომ ბამბის მოყვანა სარფაა. თორემ მოიყვანოს და იმ ფასად ჰყიდოს, რომ ხარჯი ძლივს აიყენოს — ამას ვერა მიწათ-მომქმედი ვერ გაუძლებს. ეს გარემოება სულს ამოართმევს ხელ-ახლად დაწყობილს საქმესა და ხალხი, რასაკვირველია, მოერიდება, რაც უნდა კარგი თესლი ბამბისა ურიგონ და რაც უნდა ბევრი უქადაგონ მსწავლულმა და მცოდნე კაცებმა.

რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ 1) მისი ბამბა რუსეთის ბაზარში გავა და 2) ფასი გამოსარჩომი ექმნება. საცა საქონელს ბაზარი არა აქვს და ამასთანაც გამორჩომა რამ, იქ ყოველივე ცდა ამაოა. თუ მართლა სასურველია რუსეთისათვის, რომ ამიერ კავკასიამ თავისი ბამბა მიაშველოს, საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ ამ სურვილს აღსრულების გზაც მისცენ. ჩვენი ეკონომიური უბედურება ის არის აქაც, რაც პურის ვაჭრობაში: გადატანის ხარჯი მეტად ძვირად უჯდება მწარმოებელს და ესა გვხუთავს ჩვენ ყოველისფერში. ჯერ რომ რკინის გზა მეტად დიდს ფულს იღებს საქონლის წაღებ-წამოღებისათვის, მერე,—თვითონ რკინის გზამდინაც მიტანა ჭირია უგზო-უკვლოობის გამო. აი ამ მხრით მოშველება უნდა, ვისაც ჰსურს ბამბის მოყვანის საქმეს ფეხი აადგმევინოს ჩვენში. გამოცნობილია და გამოანგარიშებული, რომ თუ ბამბის მიტანა მოსკოვში მანეთზედ და მანათს უზალთუნზედ მეტი დაჯდა, ჩვენს ბამბას გასავალი ან არ ექმნება, ან თუ ექმნება, ბამბის პატრონი ზარალის მეტს ვერასა ჰნახავს. რუსული გაზეთები ამბობენ რომ სამხრეთ-რუსეთის რკინის გზებისა და რუსეთის ხამსნობის და ვაჭრობის საზოგადოების შორის მოლაპარაკება არისო, რომ შიდა-აზიის ბამბის გადმოტანა მოსკოვამდე ხუთ აბაზ უზალთუნზედ მეტი არ დაჯდეს ფუთიო. სწორედ ამისთანა განკარგულებაა საჭირო ჩვენის მხრის ბამბისათვისაც, თუ ვისმე ჰსურს ბამბის მოყვანას ჩვენში ფეხი აადგმევინოს იმოდენად, რამოდენადაც სასურველია. თორემ დღეს ფუთი მოსკოვამდე თითქმის სამი მანათი მარტო გადატანა ჯდება და სად გაუძლებს ამოდენა ხარჯს ჩვენებური ბამბა?

ფელეტონი

მეცხრამეტე საუკუნის ავი და კარგი.—თავის-მკვლელი პროფესორი.—ახალი მოძღვრება.—ამ მოძღვრების მიმდევარნი.—თავის-მკვლელების რიცხვი ინგლისსა და საფრანგეთში.—საყურადღებო სტატისტიური ცნობები.—სულით ავად-მყოფების რიცხვი საფრანგეთში.—ახირებული შეშლილები:—მოხუცი დედა-კაცი, ხელოსანი და „რომის პაპი". — რამდენს ლუდსა და სხვა მაგარ სასმელებსა ჰხმარობს გერმანია წელიწადში?—სასმელების ტბა.—სასმელებისა, თუ ცოდვის ტბა?

მიდის და მიდის კაცობრიობა სულ წინ და წინ. ცხოვრება დიდს წარმატებაში შედის. მეცხრამეტე საუკუნეს ტყუილად ხომ არ მოაქვს თავი! რა სასწაული არ ჩაიდინა ამ საუკუნემ მეცნიერებაში, თუ ცხოვრებაში! რა არ შეიძინა, რა არ მოიპოვა კაცობრიობამ! დიახ, მეცხრამეტე საუკუნემ ბევრი სიმდიდრე შესძინა კაცობრიობას გონებრივი თუ ქონებრივი. მეცხრამეტე საუკუნეს თავ-მომწონედ შეუძლიან სთქვას, რომ ბევრი სიკეთე მიმიძღვისო. ეს ყველა მართალია, მაგრამ ბევრს სიკეთესთან, ბევრი ავიცა სჭირს ამ საუკუნეს. იაფად არ უჯდება კაცობრიობას ყველა ეს შეძენა, წარმატება, სიმდიდრე ახალის დროებისა. კაცობრიობა ჭკუას, გონებას გადაჰარბებით ასაქმებს, ამოქმედებს და გულს კი იხურავს, გრძნობას იხშავს. ყოველ-გვარ ახლად შეძენილ საუნჯეს, წარმატებას შეჰხარის, შეჰნატრის და იმ საუნჯეს კი, რომელსაც სიცოცხლეს ეძახიან, კაცობრიობა უკან უდგება. სიცოცხლე, ეს უძვირფასესი საუნჯე, ეს ზეცით მომადლებული ნიჭი, დღეს ჩალის ფასად გაუხდია კაცობრიობას. სიცოცხლის მოსპობა, თავის-მოკვლა ჭირივით მოედო კაცობრიობას, რაღაც გადამდებ სენად გარდიქცა.

⁂

მაგალითად, ამ ხანებში გერმანიაში ერთმა კაცმა, მერე ფილოსოფიის პროფესორმა, სწორედ შობა-ღამეს თავის გარდაცვალებულის ცოლის საფლავზე ჯერ თავის პატარა ქალი მოჰკლა და მერე თვითონ მოიკლა თავი. რათა? ამბობენ, ცოლის სიკვდილი ვერ აიტანაო. მაგრამ ცოლი რამდენიმე წელიწადია თურმე, რაც მოუკვდა. განა რამდენიმე წელი საკმაო დრო არ იყო, რომ ეს დარდი გულიდამ გადაეგდო? დრო და ჟამი ხომ საუკეთესო უებარი წამალია, რომელიც ყოველ-გვარ გულის ჭრილობას ცოტად თუ ბევრად ამრთელებს. თვით თავის-მკვლელს პატარა ბარათი დაუტოვებია, რომელშიაცა სწერს: „თავს ვიკლამ იმიტომ, რომ არა ღირს, კაცმა იცოცხლოს."

დიახ, კიდეც აი ეს „არა ღირს კაცმა იცოცხლოს" არის დასაფიქრებელი! ამას რომ მარტო ერთი კაცი ამბობდეს, თუ გინდ ფილოსოფიის პროფესორიც, კიდევ არაფერი,—მაგრამ საქმეც ის არის, რომ არა ერთი და ორი მიმდევარი და თანამოაზრე ჰყავს, რომელიც ან თავსა ჰყოფს თოკში, ან წყლის ცივ ზვირთებში იგრილებს აღელვებულს და მწუხარე გულს, ან კიდევ ცხელ ტყვიას უშვერს შუბლსა. თავის-მკვლელ პროფესორის მოძღვრებას აღიარებენ არა ასობით, არამედ ათასობით. ამის დამამტკიცებელი, უტყუარი საბუთები თვალ-წინა გვაქვს.

⁂

წარსულის წლის დამლევს ინგლისში და საფრანგეთში, თითქმის ერთსა და იმავე დროს, დაიბეჭდა სტატისტიური ცნობები, სადაც უტყუარი ციფრები ცხადად გვიმტკიცებენ, რამდენი კაცი ესალმება ქვეყანას თავის ნებით. ყურადღების ღირსია ეს ცნობები. ინგლისში ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში 42 ათას კაცს მოუკლავს თავი, საფრანგეთში კი მარტო ერთის, 1874, წლის განმავლობაში 7,572 კაცს მოუკლავს თავი.

ერთის წლის განმავლობაში 7 ათასი თავის-მკვლელი! განა ეს გადამდებ სენზე უარესი არ არის? თვით საზარელი გადამდები ჭირი, ხოლერა, ამ ბოლოს დროს ამდენს მსხვერპლს არ იწირავს ხოლმე ერთის წლის განმავლობაში. ამასთან იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ეს რიცხვი ნამდვილი არ არის. თავის-მკვლელების რიცხვი გაცილებით მეტი იქნება, რომ ყველა თავის-მკვლელი ჩაწერილი იყოს, ყველა სიკვდილის მიზეზი ნამდვილად იცოდნენ.

სხვა მხრივაც ბევრით არის საყურადღებო ეს სტატისტიური ცნობები. მაგალითად, ამ ცნობებიდამ ვტყობილობთ, რომ თავის-მოკვლა უფრო ხშირია სიბერეში, ვიდრე ახალ-გაზდობაში. რაც უფრო ხანში შედის კაცი, იმდენად უფრო ადვილად ჰბედავს თავის-მოკვლას და თავის-მკვლელების რიცხვი მატულობს. 55—65 წელში უფრო ხშირია თავის-მკვლელობა ახალ-გაზდებში, 15 წლამდე, თავის-მოკვლა ძალიან იშვიათია. ინგლისის სტატისტიურს ცნობებში მხოლოდ ორი მაგალითია ნაჩვენები, რომ ორს ათის წლის ყმაწვილს მოუკლავს თავი.

თავის-მკვლელ კაცების რიცხვი უფრო მეტია ვიდრე ქალებისა. მაგალითად, საფრანგეთში 100 თავის-კვლელ ქალზე 370 თავის-მკვლელი კაცი მოდის, ინგლისში—267. ქალების თავის-მოკვლაზე დიდი გავლენა ჰქონია ასაკსა. ამიტომ უფრო ბლომად ქალები თავს იკლენ 15 წლიდამ 20 წლამდე, ე. ი., როცა ასაკში შედიან და 45—55 წლამდე, როცა დედა-კაცი დედად-წესის წლოვანობას გადადის.

ზაფხულობით უფრო მეტი კაცი იკლავს თავს, ვიდრე ზამთრობით; ყველაზე მეტი რიცხვი მოდის კათათვეზე, ყველაზე ნაკლები დეკემბერზე. ქალაქებში უფრო ხშირია თავის-მოკვლა, ვიდრე სოფლებში. უცოლშვილო კაცები და უქმრო ქალები უფრო ბლომად იკლავენ თავსა, ვიდრე დაცოლ-და-დაქმარ-შვილიანებულები. ამათ მოსდევენ ქვრივები და მერე დაცოლ-ქმარებულნი.

ხელობასაც დიდი გავლენა ჰქონია თავის-მკვლელობაზე. აქ საჭიროდ ვრაცხთ ცოტა დაწვრილებით მოვიყვანოთ ცნობები ამის შესახებ.

მაგალითად, ინგლისში ექვსის წლის განმავლობაში თავი მოუკლავთ:

ჯარის-კაცთ — — —	1149.
მოსამსახურეთ— — —	650.
სახლის, თუ მამულის პატრონებს — — —	474.
ექიმებს — — — —	472.
მეაფთიაქეებს — — —	444.
ვექილებს, „ადვოკატებს".	408.
ვაჭრებს — — — —	407.
ეკკლესიის მსახურთ — —	139.
გემ ხომალდების მოსამსახურეთ— — — —	96.
მადნეულობის მუშა ხალხს	71.

აი რას გვეუბნებიან პირუთვნელი და უტყუარი ციფრები! აი როგორ ად-

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 11 იანვარს, უკანასკნელად ითამაშებს ამ ზამთარს ტფილისის სცენაზე ბ-ნი კ. მესხი, რომელიც მოწვეული იყო დრამატიულის საზოგადოებისაგან სამის კვირით. ამ დღეს დანიშნულია მისი ბენეფისი და წარმოდგენილი იქნება ქართულის დასისაგან პირველად გრიბოედოვის უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“. ფამუსოვის როლს აასრულებს ბ-ნი აბაშიძე, ჩაცკის—მობენეფისე, ლიზას—საფარ.-აბაშიძისა, მოლჩალინს—ბ-ნი ალექ.-მესხიევი, რეპეტილოვს—ბ-ნი აწყურელი და სხვ.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ თავისუფალის სვანის წერილები, რომელიც იბეჭდებოდა ჩვენ გაზეთში სხვა-და-სხვა დროს, ამ ჟამად გერმანიულს ენაზედ ითარგმნება. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამავე წერილებმა მიიქციეს ყურადღება რუსეთის ზოგიერთ მეცნიერთა და ერთი მათგანი, პროფესორი კოვალევსკი, უხვად სარგებლობს ამ წერილებით თავის სამეცნიერო გამოკვლევათათვის ძველის-ძველ კანონსა და ჩვეულებათა თაობაზედ.

⁂ ტფილისის სატეხნიკო სკოლის გამგებელთ, როგორც გვატყობინებენ, იანვრიდამ შემოუღიათ ამ სკოლაში ქართულის ენის სწავლება. როგორც ვიცით, ამ სკოლაში ბლომად არიან ქართველები და ქართულის ენის სწავლება აქამდინაც რომ შემოეღოთ, არ იქნებოდა ურიგო.

⁂ დღეს არის ბათუმში დანიშნული გასარჩევად ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილების-მიერ საქმე ი. ი. ზუბალაშვილისა.

⁂ ხვალ, ბ-ნი ბერიშვილი აპირობს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდებისაგან შემდგარი ქართული ხორო აგალობოს ქაშვეთის ეკკლესიაში. ხორო საკმაოდ ტკბილად გალობს და ვურჩევთ ყველას, ვისაც უნდა დატკბეს მწყობრის ქართულის საეკკლესიო გალობითა, ქაშვეთში მიბრძანდეს და იქ მოისმინოს წირვა.

⁂ შორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ ორის კვირის განმავლობაში იქროლა აქ აღმოსავლეთის ძრიელმა ქარმა, რომელმაც მომეტებულად შეაწუხა ისეც საძაგლის შემოდგომით შეწუხებული ხალხი და მასთან პირუტყვიც. ეს სამი დღე არის რაც გვეშველა და ჩადგა როგორც იყო ქარი, და ამის ნაცვლად დაიწყო თოვლა, რომელმაც ცოტა არ იყოს გაგვახარაო.

⁂ სოფ. ჩხერიდამ გვწერენ: ველოდით დარწმუნებით, რომ მომრიგებელს სასამართლოს დაგვიარსებდნენ, მაგრამ ჩვენ აგვაცდინეს და ყვირილაში დანიშნეს მეორე თანაშემწე, რომელმაც უნდა არჩიოს სისხლის სამართლის საქმეები და თვით მომრიგებელმა მოსამართლემ კი სამოქალაქო საქმეებიო.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ: ჩვენი სასოფლო სკოლა ისევ იმავ გაჭირვებაშივე არის, როგორც უწინ იყო. საცოდავი ბავშვები იმისთანა სტოლებ-სკამებზედ სხედან, რომ ფამფალი გაქვთ, ჩამტვრევის შიშით თამამად დაჯდომასაც ვერა ჰბედვენ. იმის მაგიერ რომ ოთხი იჯდეს თითო სკამზედ, ექვსი ჯდება და ისე არიან შევიწროებულნი, რომ წერას ვერ ახერხებენ და როგორ უნდა ისწავლონ საცოდავებმა წერა. მე ვკითხე მასწავლებელსაო,—ამბობს კორრესპონდენტი,—რატომ სტოლებსა და სკამებს არ აკეთებინებთ-მეთქი და იმან მიპასუხა, რომ ამის შესახებ დიდი ხანია მოწერილობა არის, მაგრამ პატრონი არავინ არის ჩვენიო.

⁂ საგარეჯოდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენ ხალხი საკმაოდ მიეჩვია განათლებულ ექიმებსა და მაგდენს აღარას უჯერებს მატყუარა ექიმბაშებსა და მკითხავებსაო. ამ სამის წლის წინად აქ იყო მოწვეული კერძოდ საზოგადოების ხარჯით ნასწავლი ექიმი და იმის მოქმედების წყალობით ხალხი ნდობით ექცევა ეხლანდელს წამლობასაო. მაგრამ სამწუხაროდ ახლა კი სრულიად უექიმოდ არის დარჩენილი არა თუ ეს უდიდესი სოფელი საქართველოსი, არამედ ბევრი სხვა სოფელიცა, რომელიც ამას აკრავს გარშემოო. ამას წინად ხმა გავარდა, რომ საგარეჯო ინიშნება ექიმის სამყოფ ადგილადაო და ექიმს თვით მთავრობა დაჰნიშნავსო, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა და მთელი იორის-ხეობა დღეს უექიმოდ არის დარჩენილიო. გვაქვს მხოლოდ აფთიაქი, თვით აფთიაქარი ცოტაოდნად მცოდნეა ექიმობისა და ჯერ-ჯერობით კარგად ექიმობსო. აფთიაქარსაც საკმაო ვაჭრობა აქვსო.

⁂ ხარაგაულიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს იმ უბედურების გამო, რომელიც აქ მოხდა ახალ-წელიწადს ღამესაო. საქმე ის არის, რომ ამბობენ, ვითომ მჭედლის სიკვდილი უსაბედოდ გავარდნილს რევოლვერს არ დაბრალდებაო, რომ ამ შემთხვევაში ბოროტი განზრახვაც ერიაო. გამოძიება გამოაჩენს, რამდენად მართალია ეს ჩვენში გავრცელებული ხმაო.

⁂ გაზ. «კავკაზ. მიმოხ.» სწერენ გორიდამ: ამას წინად კარალეთის გლეხს ზაქარა ბაზანდარაშვილს ივანე არჩუაშვილთან რაღაც უსიამოვნობა მოუვიდა, დაარტყა კეტი ჩხუბის დროს და სული გააყრევინაო. 28 დეკემბერს კიდევ მეორე ცოდო დატრიალდა ჩვენს მაზრაშიო. სოფელ მოხისის მცხოვრებმა გლეხმა ანდრო ამრაკაძემ ძალ-დატანებით გააუპატიურა თავისი ექვსის წლის ძმისწული ეკატერინე ამრაკაძეო, მთელი მაზრაა ჩვენი და სულ ამაზე ლაპარაკობენო.

⁂ გაზ. „Нов. Вр.“ ამბობს, რომ წელს განზრახვა აქვთ გამართონ პეტერბურგში „პირველი გამოფენა რუსეთის ღვინოებისა და სასმელებისაო“ და აგრეთვე კრება ღვინის მკეთებელთა და დამყენებელთაო. გამოფენის გამართვის მოთავე კამიტეტს სია შეუდგენია კიდეც იმათი, ვინც უნდა დაესწროს კრებაზეო. სიაში უკვე მოხსენებულია 15 კაცი ღვინის მკეთებელი ყირიმისა, კავკასიისა, ამიერ-კავკასიისა, დონისა, ბესარაბიისა, დნეპრის ნაპირებისა და სხვათა ადგილთაო.

⁂ შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა ვლადიკავკავში. 5 იანვრის ღამეს ვიღაც ავაზაკებს მოუკლავთ პატრონი გასაქირავებელის ოთახებისა ვინმე მორო, მისი ცოლი, სამის წლის ყმაწვილი, შვილად აყვანილი, და მეკარეო. როგორც სჩანს, ავაზაკთა და მსხვერპლთა შორის საშინელი ბრძოლა ყოფილა, რადგან მოროც და მისი ცოლიც საშინლად არიან დაჭრილნი ხანჯლითაო. ყველას გვამი დასახიჩრებულია და ყელი აქვთ გამოჭრილიო. (გაზ. „კავკაზი“)

⁂ ქუთაისიდამ სწერენ ამავე გაზეთს, რომ ისპანიელ ინჟინერს ბორრას შეუდგენია პროექტი რკინის-გზის გაყვანისა კავკასიის ქედზედ. ეს გზა წავა ტყიბულის რკინის გზის შტოდამ ლალორის უღელ-ტეხილისაკენ, მერე ნაქერალისაკენ, საცა მრავალი მადანია ქვა ნახშირისა, მერე გადაივლის მუხურის ქედსა, მერე გაივლის სოფელ რგანზე და წირქვალზეო, საცა მრავლად არის მადნები შავის ქვისა, და მივა საჩხერემდეო. საჩხერიდამ გაჰყვება გზა ხიხანტისა და ქუდევის მთას, მდ. ყვირილასა და გადავა უმთავრესს ქედს ქაპეტის მთასთანაო. ქედს იქით ეს გზა შეუერთდება იმ გზას, რომლის გაყვანაც მთავრობას უნდა ქ. გორიდამ ჩრდილო-რუსეთამდეო.

ზოგიერთების საყურადღებოდ

დღითი-დღე სწავლა-განათლების საქმე ყოველ ქვეყანაში წინ მიდის და ბევრი ხელის-მწყობელიცა ჰყავს ამ საქმეს; დღე არ გავა, არ ამოვიკითხოთ რომელსამე გაზეთში, რომ ამა-და ამ ადგილას ახალი სასწავლებელი გაიმართაო, ამა-და-ამ ადგილს ამა-და-ამ კაცმა სწავლა-განათლებისათვის ამდენი და ამდენი ფული შესწირაო; ამა და-ამ ადგილს სოფლის მასწავლებელნი შეიკრიბნენ და თავიანთ სკოლების ავ-კარგიანობაზე, სწავლების განკარგებაზე და სხვა ამის შესახებ საქმეებზე ლაპარაკი ჰქონდათო, ეხლა ეს დაადგინესო. ერთის სიტყვით, ყველგან დიდი მოძრაობაა სწავლა-განათლებისათვის. ჩვენში ამ გვარი მოძრაობა ამ ხუთი-ექვსის წლის წინედ იყო. მაშინ ყველანი დიდის იმედით შეჰყურებდნენ ჩვენს მოძრაობას, ყველანი სიხარულით გაიძახოდნენ, თუ ასე წავიდა სწავლა-განათლების საქმე, ეჭვი არ არის, ჩქარა დაუახლოვდებით განათლებულს ერსაო.

ვილად ეპყრობიან ამ ძვირფასს საუნჯეს,—სიცოცხლეს!..

⁂

თავი დაანებოთ თავის-მკვლელებს. არა ნაკლებ მსხვერპლს იწირავს მეორე სენი, რომელიც დღეს ვრცლად არის მოფენილი მთელს ევროპაში. ჩვენ ვამბობთ სულით-ავად-მყოფებზე, ჭკუაზე შეშლილებზე.

ამ ბოლოს დროს მეტადრე უფრო ხშირდება ეს სნეულება და რიცხვი ჭკუაზე შეშლილებისა დღითი-დღე მატულობს. მაგალითად, ამ დღეებში პარიჟის მარტო ერთ პოლიციის განყოფილებაში ერთად სამი ახირებული ჭკუაზე-შეშლილი მიიყვანეს.

ერთი ამათგანი კარგად ხანში შესული დედა-კაცია. ამ უბედურს ავადმყოფს წყალში ჩავარდნა მოუწადინია, მაგრამ პოლიციელებს დროზედ შეუმჩნევიათ და დაუჭერიათ. მერე რად განუზრახავს თავის-მოკვლა? ისეთი რა შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია ამ მოხუცს? საწყალს მოხუცს რაღაცა წიგნები წაუკითხავს და მერე თურმე სულ ის ელანდებოდა, რომ ვითომ ყველანი ამას სდევნიან; რომ ამის თავის-უფლების მოსპობა ჰსურთ ჰიპნოტობის შემწეობით. „ძარღვები დამისუსტდა, ამდენს დევნას ველარ შევუძელო,“— ამბობდა თურმე ავად-მყოფი პოლიციაში.

მეორე ავად-მყოფი ხელოსანია. ესეც წყალში ჩავარდნილა თავის დასარჩობად, მაგრამ ჩქარა გამოუყვანიათ და სიკვდილისაგან გადურჩენიათ.

ეს რაღაზე იკლავდა თავს? ამას უფრო უცნაური მიზეზი წამოუყენებია: წყალში ერთი მშვენიერი ქალია და სულ თავისთან მეძახის, მიტყუებსო; ეხლა თუ ვერ მოვახერხე, შემდეგში უთუოდ ისევ დავბრუნდები იმასთანაო.

მესამე ავად-მყოფი სამოც-და-ათის წლის მოხუცია. ამ უბედურს მოხუცს აუტეხნია და ყველას არწმუნებს, რომ „რომის პაპი“ ვარო. როდესაც პოლიციელებმა პოლიციაში მიიყვანეს, ეს უცნაური ავად-მყოფი ყველას უბრძანებდა, რომ ჩემი ლოცვა-კურთხევა უნდა მიიღოთ, რადგან მე „პაპი“ ვარო. პოლიციელებმა ვერაფრით დაიყოლეს ეს ახირებული „პაპი“, რომ საავად-მყოფოში წაეყვანათ. ბოლოს ძლივს იმით მოატყუეს, რომ „პაპის“ სასახლეში დიდ-ძალი ხალხი გელით ლოცვა-კურთხევის მისაღებადაო.

რასაკვირველია, ეს სამი ავად-მყოფი დიდს ამბავს არ შეადგენს, მერე ამისთანა დიდ ქალაქში, როგორც პერიჟია. დიახ სამი სულით-ავად-მყოფი სალაპარაკოდაც არა ღირდა, მაგრამ აი იმავე სტატისტიურ ცნობებიდამა სჩანს, რომ მარტო საფრანგეთში 1835 წლიდამ 1886 წლამდე 83 ათასი სულით-ავად-მყოფი, ჭკუაზე-შეშლილი ყოფილა. ეს რიცხვიც, რასაკვირველია, სრული არ არის,—აქ ნაჩვენებია მხოლოდ იმათი რიცხვი, რომელნიც საავად-მყოფოებში ყოფილან. ამათ გარდა კიდევ რამდენი იქნებოდა ჭკუაზე-შეშლილი, რომელნიც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, შესაძლოა, საავად-მყოფოებში ვერ მოჰყვნენ?

83 ათასი სულით-ავად-მყოფი მარტო საფრანგეთში! ახლა რამდენი იქნება სხვა ქვეყნებში? რასაკვირველია, თუ მეტი არა, არა-ნაკლები!

განა ეს კი ცოტა მსხვერპლია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეს შეუწირავს ესრედ წოდებულ ცივილიზაციის, წინ-მსვლელობის საკურთხეველზე?

⁂

ეს ორი სენი,—თავის-მოკვლა და სულით-ავად-მყოფობა,—დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს კაცობრიობისათვის. სამწუხაროდ, ეს ორივე სენი ამ მეცხრამეტე საუკუნის ნაშობი და ნაღვაწია. მართალია, უწინაც იყო თავის-კვლა და სულით-ავად-მყოფობა, მაგრამ ესე ძრიელ კი არა, როგორც ამ საუკუნეში.

სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ამ ორ საშინელს სენსა, ასახელებენ აგრეთვე გადაჭარბებით სასმელების ხმარებას. სმა ყოველთვის უყვარდა ადამიანს, მას შემდეგ, რაც ნოემ პირველად „ინება ყურძნის წვენის გემოვნება“, მაგრამ ისე არას დროს არ გადუჭარბებია, როგორც ამ საუკუნეში. ამ გადაჭარბებით სმამ ერთ-გვარი სნეულებაც დაჰბადა, რომელსაც „ალკოჰოლობას“ უწოდებენ. ამ სნეულობას ყოველთვის ან თავის-მკვლელობა მოსდევს, ან ჭკუაზე-შეშლილობა.

საკმაო იქნება მარტო გერმანია მოვიყვანოთ მაგალითად, რომ დაინახოთ, რამდენს სასმელსა ხმარობს კაცობრიობა დღეს. ერთს ამერიკის გაზეთში გამოანგარიშებული იყო ამ ხანებში, რომ გერმანიაში 1885 წლის განმავლობაში მარტო ლუდი 10 ათას მილლიონ თუნგამდე ყოფილა გამოხდილი, და თითქმის ამოდენავე სხვა მაგარი სასმელები. ყურადღების ღირსი ის არის, რომ, როგორც გვარწმუნებს იგივე გაზეთი, გერმანია რასაც სასმელს ამზადებს, თითქმის სულ თითონვე ხმარობს.

ოცი-ათასი მილლიონი თუნგი ლუდი და სხვა მაგარი სასმელი მარტო გერმანიაში ერთს წელიწადში! განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ევროპაში ამდენი თავის-მკვლელი და ჭკუაზე-შეშლილია?! ოცი-ათასი მილლიონი! სათქმელად ადვილია, მაგრამ წარმოსადგენად-კი ძნელი წარმოსადგენია! ამერიკულს გაზეთს შემდეგი საუცხოვო შედარება მოჰყავს, რომ თვალ ნათლად დაანახოს მკითხველებს, თუ რა დიდ-ძალი რიცხვია ოცი-ათასი მილლიონი თუნგი სასმელი.

წარმოიდგინეთო, — ამბობს გაზეთი, ერთი დიდი ტბა, რომელსაც სიგძე და სიგანე ერთი ვერსტი აქვს და სიღრმე ერთი საჟენი. წარმოიდგინეთ, რომ ამ ტბაში წყლის მაგიერ ლუდი დგას, — აი სწორედ ამდენს ლუდსა ხმარობს გერმანია ერთს წელიწადში. მერე წარმოიდგინეთ მეორე, პირველზე ცოტა ნაკლები ტბა,— ეს ტბა ჩაიტევს სწორედ იმდენს ღვინოსა და სხვა მაგარ სასმელებს, რამდენსაც იგივე გერმანია, გარდა ლუდისა, მუცელში იხსავს ერთის წლის განმავლობაში. მერე რომ აიღოთ სვია, ქერი, პური, კარტოფილი, ყურძენი,— ერთის სიტყვით ყველაფერი, რისგანაც ეს ზღვა-აუარებელი სასმელი მზადდება,—და ერთად შეაგროვოთ, ისეთი მთა შესდგება, რომ მთელ ქვეყანაზე ამ სიდიდე მთა არ მოიპოვებაო.

ერთი ამერიკელი, რომელსაც რამდენიმე წელიწადი გერმანიაში უცხოვრია და თვალ-ყური უდევნებია, გვარწმუნებს, რომ რაც მე გერმანიაში ვიყავი, არ მინახავს, რომ ვისმე წყალი დაელიოსო. ყველა წყლის მაგიერ ლუდსა სვამსო. რაც უნდა ღარიბი იყოს გერმანიელი, სადილად მაინც ლუდს არ დაიკლებსო. პატარა, მცირე-წლოვან ყმაწვილებსაც კი ლუდს ასმევენო.

ამდენსა ჰსვამს წელიწადში გერმანია, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ თვით ამერიკა და მეტადრე ინგლისი თუ არ გადააჭარბებს, არ ჩამოუვარდება გერმანიას სმაში. ამას მიუმატეთ ახლა სხვა ქვეყნებიც და მაშინ დამერწმუნებით, რომ ზემოდ-მოყვანილი ამერიკელ გაზეთის ტბა გაცილებით დიდი, დიდი გახდება.

თუ ეს ტბა შემდეგში არ შემცირდება და თან-და-თან უფრო იმატებს, რასაკვირველია, ის სენიც, რომელსაც ჩვენ „ალკოჰოლობა“ ვუწოდეთ, გაძლიერდება, ამასთან თავის-მკვლელების და სულით ავად-მყოფების რიცხვიც გამრავლდება და მაშინ ეს სასმელების ტბა-სასმელების ტბა კი აღარ იქნება, ცოდვის ტბად გადიქცევა, და ეს ცოდვა მეცხრამეტე საუკუნეს დიდ ჰუჭად მოეცხობა.

მაგრამ ნუ თუ მეცხრამეტე საუკუნე, რომელმაც ამდენი საკვირველმოქმედება ჩაიდინა, ვერ შესძლებს ეს ჰუჭიც ჩამოირეცხოს და კაცობრიობას ავი თავიდამ მოაშოროს?!.

დონ-იაგო

მაშინ დაემართეთ სასოფლო სკოლები, სათავად აზნაურო სასწავლებელნი, მაშინ იყო, რომ მასწავლებელთა კრებები გაემართეთ რამდენსამე წელიწადს ზედი-ზედ, მაშინ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება, მაშინ იყო, რომ სახელმძღვანელოების შედგენას და ბეჭდვას ხელი მიჰყავით, მაშინ იყო, რომ ტერმინების შემუშავება დაიწყეთ, მაშინ იყო, რომ ყმაწვილებისთვის საკითხავ წიგნების ბეჭდვას შეუდექით... ერთის სიტყვით, ყველაფერი მაშინ დაიწყეთ, რაც კი სწავლა-განათლებას შეეხება. მაშინ ისეთის სიხარულით და ალტაცებით მიეგებეთ სწავლების საქმეს, რომ, ვიმეორებ, რომ არ შეგვეწყვიტა, ახლა კარგა წინ გვექნებოდა ბიჯი წადგმული. მაგრამ... მაგრამ ჩვენმა ალტაცებამ დიდხანს არ გასტანა. ამ ბოლოს დროს ყველამ ყურები ჩამოვყარეთ, ასე რომ ლამის ძველად გაკეთებული საქმეები ერთბაშად გაქარწყლდნენ. ყველა ჩვენგანი განზე გავდგომილვართ...

რა მოხდა, რა მიზეზია, რის ბრალია, რომ საქმეს ასე მოვუყრუეთ ყური, რომ ასე გულ-გრილად ვეპყრობით. ნუ თუ მაშინ სწავლა-განათლების საქმე მოდაში იყო, ახლად შემოსული? სწავლა-განათლება ხომ „ტიურნიური" არ არის, რომ დღეს მოდაში იყოს და ხვალ ისევ გადავარდეს? არა, სწავლა-განათლება ისეთი რამ არის, რომ ყოველთვის და ყოველგან მოუძველებელ მოდად ითვლება და უნდა ითვლებოდეს. მაშ რისი ბრალია ჩვენი ასეთი გულ ცივობა? იმისი ხომ არა, რომ ჩვენ ვართ? არც ეს უნდა იყოს მიზეზი. ღმერთმანი ძნელი გამოსანახავი არის ამ გვარის ჩვენის დაუდევრობის მიზეზი!

ყველას, ვისაც კი ერის სწავლა-განათლებისათვის როდისმე გული შესტკიოდა, გულ-მოდგინედ ვსთხოვ, ხელ-ახლად შეუდგეს ამ საქმეს. შეჰმატოს ჩვენებურ სკოლების რიცხვს, ამათ განსაკარგებლად იღონოს რაიმე ღონისძიება; ეცადოს მასწავლებელთ კრებები მოხდეს, სახელმძღვანელო წიგნები დაიბეჭდოს, მასწავლებელთ ყოფა-ცხოვრება როგორც აწმყო, ისე მომავალი განკარგდეს... დრო მიდის და ჩვენ კი მას გვერდში არ ვასდევთ. ეს არ შეგვეფერის ჩვენ. აი ერთს მაგალითს მოგახსენებთ ჩვენის გულ-გრილობისას.

1878 წელში ტფილისში იყო სოფ. მასწავლებელთა კრება. მაშინ საზოგადოებამ ცოტად თუ ბევრად გაიგო სკოლების ავ-კარგიანობა, მასწავლებლებმა გაიცნეს ერთმანერთი, რამდენადაც შეიძლებოდა, შეიტყეს ახალი პედაგოგიური სწავლება, მიმართულება და სხვ. და სხვ... მას აქედ, აგერ რვა წელიწადი მიმდინარეობს, კრება არ მომხდარა, მასწავლებლები სცხოვრობენ მიარდნილს სოფლებში, ყველას და ყოველისფერს უკან ჩამორჩომილნი...

ჯერ-ჯერობით ერთი კრება მაინც მოვახერხოთ, თუ ჯერ სხვა შემწეობა სკოლებისა არ შეგვიძლიან...

ანთ. ჯულელი

ქ. სოხუმი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ახალ-წლის გაზეთებში ახალი არაფერია. ჯერ კიდევ ძველს წელიწადზე აქვთ ლაპარაკი, ძველს წელიწადთან ანგარიში ვერ გაუთავებიათ. ჩვენც ძალა-უნებურად ისევ ძველის წლის ამბავებზე უნდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი.

გაზეთი „Московскія Вѣдомости" უფრო პოლიტიკას აქცევს ყურადღებას. გაზეთი დაღვრემილი უცქერის ევროპას და ამიტომ სანუგეშოს ვერასა ჰხედავს.

> ასე იწყებს გაზეთი თავის მიმოხილვას: ყველა თითქმის დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან საფრანგეთისა და გერმანიის შორის უთუოდ ომი ასტყდება. ეს დრო, გგონებთ, შორს აღარ არის. უბედურობის მომასწავებელი ქადაგნი კიდეც წინასწარმეტყველობენ, რომ მოხუც იმპერატორის ვილჰელმის და თავად ბისმარკის სიკვდილს ზარბაზნის ხმა აუწყებს ქვეყანასაო. ორივეს მხრივ დიდი მზადებაა, ორივე სახელმწიფო თოფ-იარაღშია ჩაჭედილი და კიდევ იმასა ჰფიქრობენ, თუ შეიძლება, უფრო მეტი სამხედრო ძალა ვიქონიოთო.

შემდეგ გაზეთი თითქმის იმასვე იმეორებს, რაც არა ერთხელ და ორჯელ უთქვამს: ყველანი გაცხარებულს მზადებაში არიან, ჯარებს აძლიერებენ და თან ერთმანერთს არწმუნებენ, რომ მშვიდობიანობის დაცვა გვსურსო.

ბოლოს გაზეთი ასე ათავებს თავის მიმოხილვას:

> ევროპაში ახალ-წელიწადი დიდის ქარბუქებით და ნაზექრებით დაიწყო. ცა განრისხდა და შავის ღრუბლებით გარემოიცვა. ასეთივე შავი ღრუბლები გადაჰკვრია პოლიტიკასაცაო...

უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. გაზ. „Neue Freie Presse" ამბობს, რომ ბისმარკის სიტყვა ძალიან არ უნდა მოსწონებოდეთ ავსტრი-ვენგრიაშიო. უნდა დარწმუნებულ იყვნენ ამ სიტყვით, რომ თუ ვინიცობაა ავსტრი-ვენგრიას რაიმე გაჭირვება დაადგა, არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს გერმანიისაო.

— სამხედრო მინისტრს ავსტრი-ვენგრიისას გრაფ. ბილანდტ-რეიდტს განკარგულება მოუხდენია, რომ ის ჯარისკაცნი, რომელნიც უნდა პირველ აპრილამდე შეიარაღებულ და მომზადებულ იყვნენ, 20 თებერვლამდე მოამზადეთო.

— „Politische Korrespondenz"-ი სწერს: დიდი ხანია ხმა იყო გავრცელებული, ვითომ ავსტრიის სამინისტროს წევრებისა და ფინანსთა მინისტრის გრაფ საპარის შორის რაღაც უთანხმოება და უსიამოვნება სუფევსო. გრაფი საპარი იმ აზრისაა თურმე, რომ თუ გვინდა ვენგრიას ცოტა შეღავათი მივსცეთ, სხვა-და-სხვა დაწესებულებაზე ხარჯი შევამციროთო, მაგრამ დანარჩენი მინისტრები წინააღმდეგნი არიან ამ საქმისაო. საპარი ამ უკანასკნელ დროს რომ ვენაში იყო, აშკარად დარწმუნდა, რომ სამსახურიდგან უნდა გადავდგეო და იმპერატორს თხოვნა მიართვა თანამდებობიდგან გადაყენებისა. ახლაც მხოლოდ ბ-ნის ტისას თხოვნამ დააყოვნა და დაათანხმა, რომ კიდევ რამდენსამე ხანის განმავლობაში თავი არ დაენებებინა თავის თანამდებობისათვის. ამ გაზეთის აზრით, საპარლამენტო არჩევნები გათავდება თუ არა, საპარი სამსახურს თავს დაანებებსო.

ინგლისი. ლორდი იდდესლეი მარკიზის სალისბერის ხელში გარდაცვლილა. ხალხი ამბობს თურმე, რომ ეს ამბავი ცუდს რამეს მოასწავებს სალისბერის სამინისტროსთვისაო.

— ლონდონში ხმა გაუვრცელებიათ, რომ მარკიზი სალისბერი სამსახურს თავს ანებებსო.

ოსმალეთი. ოსმალეთის სამხედრო უწყებას იმ ჯარისათვის, რომელიც კრიტის კუნძულზე ჰყავს დაბანაკებული, რვა ქვეითი ბატალიონი კიდევ მიუმატებია. ამ რვა ბატალიონის გარდა კიდევ სამი ნაღმის მიმტანი გემი გაუგზავნია.

გერმანია. გერმანიის მთავრობას ელზას-ლორენში მყოფ მეციხვანეთა ჯარისათვის კიდევ 18,000 კაცი მიუმატებია.

ირიბის ხელის სარჩლის გამო

(პასუხად ბ-ნს გაბიჩვაძეს)

ბატონი გაბიჩვაძე არ გატყდა და გამოესარჩლა ირიბს ხელსა. ამითი მან მოგვცა შემთხვევა და საბუთი ერთხელ კიდევ გავმართოთ საუბარი ამ არა-მცირედის მნიშვნელობის საგანზედ და შევავსოთ წინედ ნათქვამი. ვალის გადახდა ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ, რუსული ანდაზა ხომ მოგეხსენებათ:—გვიან გადახდა სჯობიან, არასოდეს გადახდასაო.

ჩვენი მობაასე ცდილობს პედაგოგიური ხსირები შეუდგას ირიბს ხელსა. მაგრამ განა ეს ხელი პედაგოგიურს ნიადაგზედ არის აღმოცენებული? სრულიადაც არა. ამიტომ ამაოდ ირჯება ბ-ნი გაბიჩვაძე. მისი კლიენტი—ირიბი ხელი—ისეთი უგვანო და მავნე არსება გამოდგა, რომ დაცვა მისი ყოვლად შეუძლებელია, თუნდაც ხუთი მჭევრ-მეტყველი ადვოკატიც დაიხმაროს. არა მარტო ბატონმა მირიანაშვილმა და ჩვენ უარ-ვყავით იგი, არამედ მას სიქოლავი აუგეს საქართველოს ყოველის მხრიდამ: ქართლიდამ, კახეთიდამ, ჯავახეთიდამ, დიდმა და პატარამ, კაცმა და ქალმა (იხილე „ივერიაში" მოწერილი ამბები სხვა-და-სხვა ნომერში).

ბ-ნი გაბიჩვაძე ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ მან ირიბი ხელი თავის დედანში შეიტანა პრინციპიალურის მოსაზრების ძალით. ვითომ? ბატონმა გაბიჩვაძემ ეს მეოთხედ გამოსცა „დედანი", თუმცა არც ერთი გამოცემა არ გაუყიდნია. რატომ პირველს სამს გამოცემაში შეჰხება არ მოიძებნებოდა ირიბის ხელისა? განა უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში ამ ხელმა პედაგოგების თვალში მოიგო რამე? პირ-იქით ბევრი წააგო. მას გაუმრავლდნენ მოწინააღმდეგენი, რომელნიც ცდილობენ იგი უკან ჩამოაყენონ და მის მაგივრად გაავრცელონ პირ-და-პირი ხელი. ამას ჰმოწმობს თვითონ ის რუსული წერილი, საიდგანაც უსესხნია თავისი მოსაზრება ბატონს გაბიჩვაძეს: «пріобрѣтающее въ послѣднее время *распостраненность* какъ у насъ, такъ и *въ особенности на западѣ* прямое, круглое письмо, называемое *рондо*, слѣдуетъ считать письмомъ калиграфическимъ, ამბობს ბატონი ვერესოვი. მაშ რამ აიძულა ბატონი გაბიჩვაძე მუხლი მოუდრიკა უცებ ირიბის ხელის წინაშე და დაუთმო მისთვის თავის დედანში გვბერთელა ადგილი?

ჩვენს წინანდელს წერილში ყოველის მხრივ შევადარეთ პირ-და-პირი ხელი ირიბთან და, გვგონებთ, ცხადად დავამტკიცეთ, რომ პირველს აქვს ყოველ გვარი უპირატესობა მეორის წინაშე. დავასახელეთ და განვმარტეთ ათამდე უპირატესობა. ბ-ნი გაბიჩვაძე ცხრა უპირატესობაზედ არასფერს ამბობს, მაშასადამე, ამ მხრივ იძულებულია დაგვეთანხმოს ჩვენ. იგი უარს ჰყოფს მხოლოდ მეათე უპირესობას, სახელდობ, ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ირიბი ხელი უფრო სწრაფად იწერება, ვიდრე პირ-და-პირი. მისი მსჯელობა რომ საფუძვლიანიც იყოს ამ ერთად-ერთს შემთხვევაში, მაინც ჩვენ შეხედულობას არამც თუ ვერ დაარღვევდა, ვერც-კი შეარყევდა, რადგანაც ცხრა უპირესობის პატრონს ერთის უპირესობის მოსაკუთრე სრულიადაც ვერ გაუწევს ცილობასა და უნდა ქედი მოიდრიკოს მას წინაშე....

ჩვენ ერთს წამს შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ერთს მირითადს უპირესობაზედ, რომელიც ჩვენ წინა წერილში გავკვრით ვახსენეთ.... თუ წერისა და კითხვის ურთიერთობას გავშინჯავთ, რად უნდა ჩავთვალოთ პირველი და რად მეორე? პირველი არის ღონისძიება, საშუალება, მეორე მიზანი, რისთვისაც პირველი არსებობს. ერთის სიტყვით რომ გამოვსთქვათ, ადამიანი იმიტომა სწერს, რომ თვითონაც წაიკითხოს და სხვებმაც. მაშ რაკი საქმე ასეა და წერა არის დანიშნული კითხვისათვის, ჩვენ უნდა წერის ღირსება იმითი ავწონოთ, თუ რა გვარის წერის კითხვა უფრო ადვილია, ირიბისა, თუ პირ-და-პირისას? მეორესი, განა? აქ ხომ ეჭვი ყოვლად შეუძლებელია. პირ-და-პირის ხელით ნაწერს ხერხიანად, მარჯვედ ვიჭერთ, ადვილად ვარჩევთ ასოებსა, სწრაფად ვკითხულობთ და თვალებსაც ძალა არ მოსდით, რადგანაც პირ-და-პირ აცქერდებიან. სრულიად წინააღმდეგი უნდა ითქვას ირიბს ხელზედ. ამიტომაც არის პირ-და-პირი ყოველი ბეჭდური ასოები. კარგი და პატიოსანი. სწერს ერთი, კითხულობს მას ნაწერს ათი და ოცი. რომელის ხელით უნდა სწეროს მან: იმითი, რომელიც მხოლოდ მას ერთად-ერთს ეხერხება, თუ ათსა და ოცსა და მათში თვითონ დამწერსაც? ჩვენა გვგონია, რომ ეს გამოცანა ძნელი არ არის და თვითონ ბ-ნ გაბიჩვაძესაც ადვილად შეუძლიან გამოიცნოს, თუ მოისდომებს და არ გაჯიუტდება... წერის სისწრაფეს გადაჭარბებული ძალა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სტენოგრაფებისათვის და არა საზოგადოდ მოწაფეთათვის, რომელთათვის საჭიროა გარკვეული, ლამაზი და ადვილი ხელი....

მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვითონ სისწრაფე და სიადვილე ირიბის ხელისა შედარებით სწორე ხელთან ისეთივე მართალია, როგორც ცხრა-თავიანის მდევის არსებობა..

ბატონს გაბიჩვაძეს ჰსურს დაგვაჯეროს, რომ როცა მრუდედ, ირიბად გვიდევს რვეული, ანუ ქაღალდი, მაშინ ნიდაყვს გადაუხვევლად ხელს თავისუფლად ვამოძრავებთ და გავყავს სწორე სტრიქონები, ხოლო როცა სწორედ გვიძევს ქაღალდი, მაშინ ნიდაყვს უნდა ხშირ-ხშირად უცვალო ადგილი, თორემ სტრიქონები გამოგივა მრუდე, რკალული. ეს არის ერთად-ერთი საბუთი ჩვენის კალიგრაფისა. მკითხველს ადვილად შეუძლიან დარწმუნდეს, რომ ამ საბუთში იოტის ოდენა სიმართლე არ მოიპოვება. ამისათვის საკმარისია აიღოთ ერთი თაბახი ქაღალდი და დასწეროთ რამდენიმე სტრიქონი ჯერედ ირიბულად, მერმე პირ-და-პირ. თქვენ ადვილად შეამჩნევთ, რომ ორივე შემთხვევაში ნიდაყვს ადგილი უნდა ორჯელ-სამჯერ ასცვალოთ, მანამ სტრიქონს ბოლომდის გაიყვანდეთ. თუ ეს არ მოახდინეთ და ნიდაყვი უძრავად დასტოვეთ ერთსა და იმავე ადგილასა, თქვენ გამოგივათ რკალული სტრიქონები მაშინაც, როცა ირიბად გიდევსთ ქაღალდი და მაშინაც, როდესაც იგი პირ-და-პირ იქნება თქვენ წინ გაშლილი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ირიბად წერის დროს რკალი იქმნება უსწორ-მასწორო, პირ-და-პირ წერის დროს-კი სრულიად სწორე. ამასთან იმასაც შევნიშნავთ, რომ ირიბულად წერის დროს ტანსა და მეტადრე კისერსა და თვალებს მიდრეკილება აქვსთ ისეთივე მრუდე მდგომარეობა მიიღონ, როგორს ასოებსაცა სცემთ. ტანს კიდევ შეგიძლიანთ ძალა დაატანოთ და სწორედ ამართული დაიკავოთ; მაგრამ თვალებსა და კისერს კი ვერას გზით ვერ შეაჩერებთ პირ-და-პირს მდგომარეობაში. თვალები უნებლიედ დაგბრიცდებათ და კისერი დაგეღრიცებათ. რომ ეს გარემოება [illegible]ბისათვის მეტნაკლებობით მავნებელი უნდა იყოს, ამაზედ თვითონ ბ-ნი გაბიჩვაძე უარს ვერ იტყვის და ვერც ამბობს. მაგრამ აქ ამაზედ უარესი ის არის, რომ კისრის მოდრეკის გამო სისხლის თავისუფალი დენა ტანიდგან თავში ბრკოლდება, ჩერდება და ამას ხშირად მოსდევს ძარღვების და თვით ტვინის ავად-მყოფობაც.

ბატონს გაბიჩვაძეს ის აზრი, რომ ირიბი ხელი უფრო სწრაფად იწერება, უსესხნია ბ-ნის ვერესოვის წერილიდგან. ამ სესხს და ხიფათს იგი სრულიად ასცდებოდა, თუ მიხვდებოდა, რომ ამ ადამიანის წერილი იმდენადვე აშენებულია პედაგოგიურს საძირკველზედ, რამდენადაც მოსლემინების „ღვთის-მეტყველების მოსაზრებანი აღშენებულნი არიან თავისუფალ გონების მოქმედებაზედ. ჩვენ კალიგრაფს რომ ბ-ნის ვერესოვის წერილის მაგივრად ერთი-ორი პედაგოგის შეხედულება შეეტყო, მაშინ უარსა ჰყოფდა ირიბის ხელის სისწრაფესა. ავიღოთ მაგალითად საუკეთესო რუსის პედაგოგის მირაპოლსკის წიგნი „Обученіе письму", გადავშალოთ 27 გვერდზედ და წავიკითხოთ ბოლომდისინ, აღმოჩნდება, რომ მირაპოლსკის აზრით, რამდენადაც ხელი ირიბია, იმდენად მისი წერა უფრო უძნელდებათ ბავშვებსა, მეტადრე ზოგიერთებსა. «Наклоненіе буквъ параллельно діогонали даетъ слишкомъ *косой шрифтъ*, который хотя и изященъ, но *не каждому по рукѣ*, да и не *четокъ*, *особенно* для начинающихъ, а потому учитель, замѣтивъ, что нѣкоторые ученики постоянно пишутъ знаки прямѣе этого наклона, хорошо сдѣлаетъ, если для такихъ учениковъ будетъ приготовлять сѣтку съ меньшимъ наклономъ. Хотя косой шрифтъ и считается новымъ и болѣе изящнымъ; но *въ народной школѣ важенъ особенно вопросъ о четкости и удобствѣ* письма, изящество-же стоитъ на второмъ планѣ. თუ მკითხველი ერთს წუთას ჩაუკვირდება ამ სიტყვებს, დაინახავს, რომ ბ-ნის მირაპოლსკის მოსაზრებიდგან პირ-და-პირ ის დასკვნა გამოდის, რომ ირიბი ხელი უფრო ძნელია როგორც საწერად, ისე საკითხავად. თუ გამოჩენილი რუსის პედაგოგი ასე სჯის რუსულის წერის შესახებ, რომელსაც მეტ-ნაკლებობით შეჰფერის ირიბობა, თუმცა პირ-და-პირობა მასაც უფრო უხდება და ეხერხება, ადვილი წარმოსადგენია, რა გვარს მსჯელობას გამოსთქვამდა იგი ქართულის წერის შესახებ, რომელსაც დაირიბება ისე უხდება, როგორც ძროხას უნაგირი.

ბატონის მირაპოლსკის სიტყვებიდგან ისიც აშკარადა სჩანს, რომ ირიბი ხელი შემოღებულ იქმნა არა იმიტომ, ვითომც იგი სწრაფ და ადვილ ხელად მიაჩნდათ, როგორც შეცდომით ჰფიქრობს ბ-ნი გაბიჩვაძე, არამედ იმიტომ, რომ უფრო ლამაზ ხელად სთვლიდნენ. რა საფუძველით? იქნება ესტეტიკის კანონების მოთხოვნილებით? სრულიადაც არა. ესტეტიკა უარს ჰყოფს ამ ხელს, როგორც ბუნების წინააღმდეგს და მავნებს, როგორც წინედ მოვიხსენიეთ. მაშ რა სთვლიდა ირიბს ხელს ლამაზ ხელად? მოდა, მხოლოდ მოდა, ის ბრმა მოდა, რომელიც ხშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მოქმედობს ყოველის ლოღიკის და ესტეტიკის წინააღმდეგ, —ის მოდა, რომელიც გვაჯერებს, რომ ქალებს წელ-ქვევით ვებერთელა კუზი ამშვენებთ და ალამაზებთო. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ ჟამად თვითონ მოდამაც ზურგი შეაქცია ირიბს ხელსა, ისე როგორც კრინოლინებს რამდენისამე წლის წინად, და თხოულობს, რომ ყოველ-გვარი წარწერები ლამაზ ნივთებზედ, ეტიკეტები შესდგებოდნენ პირ-და-პირის ასოებისაგან. ამის გამო ამ ჟამად ყოველ-გვარი ეტიკეტები იწერება არა ირიბის ასოებით, არამედ რონდოთი. ამ სახით უკანასკნელი პოზიციაც დაჰკარგა ირიბმა ხელმა და ესრედ წოდებულის რუტინის წყალობით არსებობს კიდევ ჯერ-ჯერობით. მაგრამ მისი დიდხანს სიცოცხლე იმდენად ძნელად მოსალოდნელია, რამდენადაც ტიურნიურების საუკუნოდ გაძლება.

ევროპიის ერთა შორის ყველაზედ ნაკლებად აირიბებენ ნაწერს ფრანცუზები. მათვე შემოიღეს და ავრცელებენ პირ-და-პირ ხელს—რონდოს. ვინ არ იცის, რომ ფრანცუზებს ყველა ევროპიელებზედ მეტად უყვართ სისწრაფე მოქმედებაში და შეუდარებელის გემოვნების მქონენი არიან! ირიბი ხელი რომ უფრო სწრაფი ხელი იყოს და უფრო ლამაზი, ფრანცუზები ყველაზედ მეტად შეიყვარებდნენ ნამდვილს ირიბს ხელსა და იგი ექმნებოდათ ყოველთვის ხმარებაში... ეს ასე არ არის, მაშასადამე...

ბატონი გაბიჩვაძე ბძანებს: ირიბი ხელი რომ მავნებელი იყოს თვალისათვის, ინგლისელები უნდა დაბრმავებულიყვნენ, რადგანაც ძლიერ ირიბად სწერენო... ყველამ იცის, რომ ევროპაში საზოგადოდ და ინგლისში კერძოდ თვალის ტკივილი ძლიერ არის გახშირებული და შეადგენს საგანს დიდის მზრუნველობისასა. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, როგორც სხვანიც ჰფიქრობენ, რომ ამ გახშირებულს თვალის ტკივილში მონაწილეობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ ევროპიელნი იძულებულნი არიან ალმაცერად იხმარონ თვალები, დაბრიცონ იგინი როგორც ირიბის წერის, ისე ირიბად ნაწერის კითხვის დროსა...

ჩვენ გვერდს ავუვლით არა ერთს წინააღმდეგობას, რომელიც ბ-ნის გაბიჩვაძის წერილში მოიპოვება, აგრეთვე ყურს არ ვათხოვებთ იმ ბავშურს დაბრალებას, ვითომც ჩვენ ვურჩევდეთ ქართველებს, დაუბრუნდნენ წერაში იმ დროსა, როდესაც ქართველი დედაკაცები ბეჭზედ აწერინებდნენ ჩხირებითა, და შევჩერდებით ცოტას ხნობით საგნის ერთს მხარეზედ კიდევ.

ბატონი გაბიჩვაძე ხედავს, რომ მისგან წამოყენებული საბუთები ირიბის ხელის დასაცველად ფუჭ კაკლად არა ღირს და თავის დანაშაულის შესამცირებლად წყალწაღებულისავით ხავსს ეჭიდება: ბ-ნ გოგებაშვილმა ჩვენზედ ადრე შეიტანა თავის დედანში ირიბი ხელი და ჩვენც იმას მივბაძეთო. ცოცხალის ტყუილით რომ თავის გამართლება შეიძლებოდეს, მაშინ ხომ ყველანი წმინდანებად გადაიქცევოდნენ. მაგრამ ვინც ამ იარაღს ხმარობს, მოგვაგონებს უსუსურს გრაბულს, რომელიც, წვიმისაგან შეშინებული, ვებერთელა მდინარეში გადეშვა. ბ-ნ გაბიჩვაძეს დავიწყებია, რომ ბ-ნის გოგებაშვილის დედანის ხუთი ათასი ეგზემპლიარი უკვე მოიფინა ქართველს საზოგადოებაში ორის წლის განმავალობაში და ყველა მკითხველს ადვილად შეუძლიან გადაფურცლოს იგი და ჩვენს მობაასეს კუდზედ ფეხი დაადგას. მართალია, 21 გვერდზედ პირველს სტრიქონებში ზოგიერთი ასოები ცოტაოდნად დაირიბებულია, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა კრავიორისა, ამომჭრელისა, რაც ცხადად სჩანს იქიდამ, რომ შემდეგს სტრიქონებში იმავე გვერდზედ, გამჭდს ნუსხურს ხელში, სასტიკად არის დაცული პირ-და-პირობა ხაზებისა. როდესაც ვინმე კორრექტურულს შეცდომას ებღაუჭება თავის დასაცველად, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ საფანელი მას სრულიად არ აბადია.

სათქმელი სრულიად გვათავვეთ და უკანასკნელს სიტყვას ვუთმობთ, ჩვეულებისამებრ, ჩვენს მოპირისპირეს.

იაკობ სვიმონიძე

გასართობი

დიდი სახლობა. ამ ხანებში პარიჟში იმყოფება ერთი შესანიშნავი მამათ-მთავარი, 96 წლის მოხუცი, რომელსაც ამ 72 წლის წინად დაუნებებია თავი სამშობლო ისპანიისათვის და ამერიკაში წასულა ბედის საძებნელად. ამ მოხუცის სახელი დონ-დიეგოს პეეცია. პეეცი მოსულა პარიჟში მთელის თავის სახლობით, რომელიც 277 წევრისაგან შესდგება.

დონ-პეეცსა ცოცხალი ჰყავს: 16 ქალი, ამათში 6 ქვრივია, 9 ქმრიანი და 1 გასათხოვარი;—23 ვაჟი-შვილი, ამათში 4 ქვრივია, 13 დაცოლ-შვილიანებული და 6 უცოლო, —34 შვილის-შვილი—ქალი, ამათში 3 ქვრივია, 32 ქმრიანი და 9 გასათხოვარი,— 47 შვილის-შვილი—ვაჟი, ამათში 4 ქვრივია, 26 დაცოლ-შვილიანებული და 17 უცოლო;—82 შვილის-შვილის-შვილები ქალი და ვაჟი; ამათშიაც ბევრი გათხოვილი და ცოლიანები არიან. პეეცსა თანა ჰყავს აგრეთვე 72 სიძე და რძალი.

ამ საოცარს მამათ-მთავარს სამი ცოლი გამოუცვლია. უკანასკნელი შვილი ჰყოლია 1863 წელსა, როდესაც პეეცი 73 წლისა ყოფილა. ამის უფროსი შვილი ეხლა 70 წლისაა; ამასაც 17 სული შვილი ჰყოლია, ამათში უფროსი ეხლა თითონ 47 წლისაა: ამ სახით ბიძა-შვილი 23 წლით უფროსია თავის ბიძაზე, დონ-პეეცის უკანასკნელს შვილზე.

ღრმად მოხუცებული გათეთრებული დონ-პეეცი თავის საკუთარის ხომალდით მოსულა პარიჟში; ხომალდის უფროსად ერთი ამისი შვილის-შვილია. დონ-პეეცს დიდი ქონება შეუძენია ამერიკაში და შვილებისათვის კარგი სწავლა-განათლება მიუცია. დონ-პეეცის სახლობაში ყოველ გვარის ხელობის კაცია: ექიმი, ადვოკატი, მეაფთიაქე, ინჟინერი, მრეწველი, ვაჭარი და სხვანი.

დონ-პეეცი ჭარმაგი მოხუცებულია, დღესაც სრული ჯანი და ღონე აქვს, ყოველ დღე ფეხით დადის, დასეირნობს,—თვალ-ყურს თითონ ადევნებს თავის შვილის-შვილების სწავლა-განათლებას. დონ-პეეცს თავის სიცოცხლეში თამბაქო და მაგარი სასმელები არ უხმარია.

პარიჟიდამ დონ-პეეცი ისპანიის ქალაქს კადიკსში მიდის და იქ აპირებს გაატაროს დანარჩენი დღენი თავისის სიცოცხლისა.

დეპეშა

8 იანვარს

პეტერბურგი. „Новое Время“ ამბობს ციმბირის უნივერსიტეტზე: პეტერბურგს მოწვეულს მზრუნველს სწავლა-განათლებისას ფლორინსკის განზრახვა აქვს აუხსნას მთავრობას რომ, რადგან ყმაწვილნი კაცნი ცოტანი არიან შემოსასვლელნი ხსენებულს უნივერსიტეტში ციმბირის გიმნაზიებიდამ, საჭიროა სემინარიელებსაც ნება მიეცეთ შემოსვლისაო, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ სხვა უნივერსიტეტებში გადასვლის ნება არა ჰქონდეთო. თუ ეს წინადადება შეწყნარებულ იქმნა, უნივერსიტეტი შემოდგომაზე გაიხსნებაო.

სავაჭრო წესდების შემადგენელს ტურს დაუწერია პროექტი სავაჭრო დავთრების შემოღებისა. ეს პროექტი ამ ჟამად შესაბამ სამინისტროსა აქვს განსახილველად. სამინისტრო სთხოვს ბირჟის კომიტეტებსა და ვაჭრობისა და მანუფაქტურის საბჭოებს, თქვენი აზრი შეგვატყობინეთ ამ პროექტის გამოო.

რომი. მანისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპრეტისმა უთხრა ბოლგარიის დეპუტატებს, რომ ადვილი დასამლევია დღევანდელი გაჭირებანი, თუ კეთილ-გონიერებით მოიქცევით და შეიწყნარებთ ტრაქტატებსაო.

გუშინ საღამოს აქაური სტუდენტები სცდილობდნენ თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ბოლგართათვის, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათო.

ის ხმა, რომ ვითომ იტალია შუაკაცობასა კისრულობს რუსეთსა და ბოლგარიის შორისა, უსაფუძვლოა. რომის კაბინეტი საბოლოოდ სიტყვას ბოლგარიის საქმის გამო უთმობს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც უფრო პირ-და-პირი ინტერესი აქვთ ამ საქმეშიო.

ასხაბადი. ქაბულიდამ მოვიდა ამბავი, რომ გილზაების აჯანყების დროს ამ უკანასკნელად, ინგლისელები არა თუ არა შველოდნენ ემირს, არამედ, პირ-იქით, ფარულად ამხნევებდნენ მეამბოხეთა იმ იმედით, რომ იქმნება ყანდაღარი დაგვიპყრათო. მაგრამ ემირმა ამის ნება არ მისცაო.

9 იანვარი

პეტერბურგი. რადგან ზოგიერთმა რკინის გზებმა გვიან წარმოადგინეს ახალი პროექტი იმისი, თუ რამდენი უნდა იღონ გზებმა სამზღვარ-გარედ გასატან საქონელზედ და, რადგანაც ეს საქმე რთული საქმეა, რკინის გზათა საბჭომ გადასწყვიტა, ჯერ-ჯერობით ისევ უწინდელი ფასები დარჩეს რამდენსამე ხანსაო, იმ პირობით კი, რომ ახალი ფასები მასუკან, რაკი მთავრობა დაამტკიცებს და გამოაცხადებს, შემოღებულ იქმნას ექვსის კვირის შემდეგაო.

„С.-Петер. Вѣд.“-ი გვაუწყებს, რომ განსაკუთრებულმა კამისიამ საბოლოოდ განიხილა საქმე იმ რკინის გზების, აღებისა და დასაკუთრებისა ხაზინის-მიერ რომელთაც შეძლება ნაკლებადა აქვთ და ვალები დაედოთო. კამისიამ გადასწყვიტა, რომ ასეთი საქმეები უნდა დაექვემდებაროს იმ წესსა და რიგს, რა წესი და რიგიც არსებობს სავაჭრო შეუძლებლობის საქმეთათვისაო. მხოლოდ ის წესი და რიგი უნდა შეივსოს ზოგიერთის დამატებითა. ეს დამატებანი საჭირო იქნება, რადგან რკინის-გზის საქმეებს თავისი განსაკუთრებული თვისება აქვსო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ხმა არის, ვითომ მთავრობას მტკიცე განზრახვა აქვს თვით დაისაკუთროს ყველა ის რკინის გზები, რომელთაც საკმაოდ დიდი ვალი დასდებიათ სახელმწიფო ხაზინისაო. გაზეთი ამბობს, რომ ვითომ ამ საქმის შესაბამი პროექტი მალე წარედგინება სახელმწიფო საბჭოსაო.

გაზეთები ამბობენ, რომ იმ კამისიამ, რომელსაც ჰქონდა მინდობილი საქმე ადგილობრივის მმართველობის განხილვისა, გაათავა მუშაობაო; საჭირო რეფორმების პროექტი შედგენილია და ჩქარა წარედგინება სახელმწიფო საბჭოსაო.

ლონდონი. სამინისტროსთან დაახლოვებული გაზეთი «Globe» ამბობს: ბოლგარიის დეპუტატები ეხლა კი უთუოდ დარწმუნდნენ, რომ ინგლისსა, გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიას ჰსურს, ყველა მორიგებათა საფუძველი აღმოსავლეთის საქმეთა გამო ბერლინის ხელ-შეკრულობა იყოსო და მეტის მეტად ეშინიანთ ომისა ბალკანის ნახევარ კუნძულზედაო. გაზეთი ფიქრობს, რომ ბოლგარიის საქმის გამო, ოსმალეთის შუამავლობით, მალე ბევრი რამ იქნება დათმობილი და ეს გარემოება რუსეთს დააკმაყოფილებსო. რაიცა შეეხება საფრანგეთს, აღმოსავლეთის საქმეში საფრანგეთს იმდენადა აქვს ინტერესი, რამდენადაც იგი საქმე ხელს უწყობს, თავისი წადილი შეისრულოს გერმანიის შესახებაო.

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟი 2 იანვარს 1887 წ. ხუთას მანათიანი მოგება რგებია შემდეგს 5% ბილეთებს მეორე შინაგანის სესხისას 1864 წლისას.

№№ სერ.	№№ ბილეთ.	№№ სერ.	№№ ბილეთ.	№№ სერ.	№№ ბილეთ.
2863	1	19264	19	12045	36
3434	—	3118	20	16812	—
4148	—	4840	—	264	37
7146	—	9138	—	1845	—
7298	—	9955	—	5746	—
7484	—	15583	—	11470	—
12393	—	18795	—	18619	—
12539	—	5315	21	6720	38
16418	—	5791	—	9492	—
7550	2	11725	—	11734	—
9431	—	14439	—	15833	—
11333	—	15733	—	16949	—
12639	—	17680	—	18215	—
12886	—	1361	22	19147	—
16234	—	1740	—	1898	39
19974	—	1918	—	1948	—
2054	3	3003	—	6496	—
3956	—	4620	—	6575	—
8011	—	11222	—	6700	—
8586	—	14169	—	7272	—
11576	—	17010	—	14933	—
12938	—	7804	23	16683	—
13440	—	4710	24	17803	—
15368	—	6411	—	1036	40
10843	4	13295	—	5221	—
11904	—	15098	—	6227	—
14572	—	15477	—	11493	—
16468	—	1940	25	17388	—
19658	—	11268	—	6905	41
4058	5	18414	—	12703	—
5004	—	5825	26	14557	—
9713	—	10949	—	17811	—
4205	—	11100	—	1387	42
8382	6	13224	—	4554	—
19532	—	17862	—	5694	—
16606	—	18629	—	8988	—
704	7	19026	—	13938	—
12107	—	302	27	14895	—
343	8	2756	—	15163	—
571	—	4740	—	15481	—
2402	—	12448	—	16141	—
4560	—	12958	—	1394	43
9078	—	15097	—	4872	—
18157	—	15985	—	8700	—
13766	—	18230	—	10640	—
15222	—	18864	—	11616	—
17945	—	1953	28	14729	—
18381	—	4073	—	16176	—
2225	9	8559	—	6343	44
6335	—	12866	—	11671	—
12824	—	316	29	13748	—
17983	—	4271	—	123	45
1154	10	5120	—	701	—
2831	—	7898	—	4193	—
3558	—	11483	—	8283	—
16405	—	13284	—	9400	—
12815	11	18006	30	14533	—
14208	—	2812	31	18173	—
8699	12	9066	—	18647	—
9537	—	11094	—	18824	—
11156	—	15994	—	2138	46
14867	—	17287	—	5843	—
19388	—	17477	—	6679	—
18432	13	19854	—	7706	—
3002	14	2712	32	11317	—
5913	—	3540	—	14639	—
15304	—	5971	—	3970	47
17992	—	7694	—	4134	—
6890	15	13887	—	6455	—
9355	—	1839	33	8990	—
16878	—	3637	—	2637	48
17574	—	7855	—	4800	—
1234	16	9610	—	7225	—
338	17	264	34	12070	—
3850	—	1403	—	2965	49
4993	—	6124	—	3725	—
14081	—	7718	—	4836	—
2079	18	8845	—	5018	—
10994	—	9672	—	8048	—
11612	—	11277	—	10963	—
14857	—	19759	—	11106	—
3489	19	5502	35	5854	50
4800	—	8431	—	6771	—
5928	—	8881	—	11755	—
8080	—	16709	—	18752	—
10757	—	17439	—	19336	—
17052	—	8584	36		

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგში, 1887 წელს 1 აპრილამდე.

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ.

216	5938	15475	1662	17324
14600	14036	16658	2499	16926
945	714	1933	11380	5233
9888	18776	14383	4290	13205
4627	18317	17741	12148	1587
1239	16881	9554	6710	19783
19568	18327	4617	903	9089
19468	7277	16954	3505	2190
1985	17483	17390	19813	2478
9317	7773	13092	1083	18836
8035	18891	15586	1921	8564
2217	11780	16808	1400	17880
4719	3036	19346	8601	7690
7964	1988	3718	1659	12176
8418	19539	3347	1892	10292
4996	1570	1808	17347	11617
6877	5468	14444	14773	—

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება თვითეულზე 125 მან. შეიძლება 1887 წ. 1-ლ აპრილამდე სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებში და განყოფილებებში.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395.**
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის.

10 დღე შაბათი. წმ. გრიგოლ ნოსელისა. კათოლ. ალატონისა და ვილჰელმისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—2; მთვარე ამოდის 6—48.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3	›
› 2 ›	2½	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	›
› › 2—	3½	›
› › 3 ›	3	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	5	›
მე-2 ხარისხისა . .	4	›
მე-3 — . . .	3½	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
› 2 ›	6	›
სუკი. . . .	13	›
ცხვრის ხორცი . . .	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7	›
› 2 ›	6	›

განცხადებანი

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—7)

Дозв. ценз. Тиф. 9 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე